

შესასყიდი სამუშაოების დოკუმენტაცია და პირობები

1. შესყიდვების პირობები

- 1.1 შესასყიდი სამუშაოს დასახელება, მოცულობა და დეტალური ტექნიკური პარამეტრები მოცემულია შესყიდვის დოკუმენტაციის დანართი #1-ში (სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა) და საპროექტო დოკუმენტაციაში (დანართები #2.1 და #2.2).
- 1.2 გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება ხელშეკრულება დანართ #4-ის შესაბამისად.

2. შესასყიდი სამუშაოების საწყისი ფასი და გაანგარიშების მეთოდი:

- 2.1 დანართ #1-ში მოცემული სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 59 627.8 აშშ დოლარს დღგ-ს გარეშე;
- 2.2 შემოთავაზებული წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს აშშ დოლარში, შესასყიდი სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული შემსრულებლის ყველა ხარჯის (მ.შ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების) გათვალისწინებით. შემოთავაზებულ წინადადებაში დღგ-ს თანხა უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე.

3. ანგარიშსწორების ვადა და პირობები:

- 3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში იმ დროისათვის არსებული ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (აქტების) (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს აქტი) და შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 3.2 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) დაიშვება - 25 %-მდე, იმავე ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- 3.3 ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2.5%-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის 2.5%-ის დაქვითვა განხორციელდება საგარანტიო ვადის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 365 კალენდარული დღე) დასრულებისა და საგარანტიო პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ შესაბამისი აქტის საფუძველზე.

3. მიწოდების ადგილი და ვადა:

3.1 შესასყიდი სამუშაოს შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში:

- ა) შენობა # 3 ღვინის ტრადიციული მარნის სარემონტო და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები;
- ბ) ღვინის ტრადიციულ მარანსა და მევენახეობა-მელვინეობის აკადემიას შორის მდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები.

3.2 შესასყიდი სამუშაო უნდა შესრულდეს შემდეგ მისამართებზე:

3.2.1 ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი #240, N 01.72.14.006.768 საკადასტრო კოდზე მდებარე:

- ა) შენობა # 3 ღვინის ტრადიციული მარნის სარემონტო და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები;
- ბ) ღვინის ტრადიციულ მარანსა და მევენახეობა-მელვინეობის აკადემიას შორის მდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები;

4. გარანტია:

4.1 შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შასაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 365 დღის ვადით;

4.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსრულებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ, გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა მექანიკურად გამოწვეული დაზიანებისა.

5. გარემოსა და სოციალური უსაფრთხოების დაცვის სავალდებულო პირობები:

შემსყიდველის ვალდებულებები:

- უსაფრთხოების წესების ტრეინინგის ჩატარება;
- შრომის უსაფრთხოების გეგმის მომზადება;
- ნარჩენების მართვის ტრეინინგის ჩატარება;
- ტერიტორიაზე საჩივრების ყუთის განთავსება.

შემსრულებლის ვალდებულებები:

- სამშენებლო მოედანზე დასაქმებული პირების პირადი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვა (ჩაფხუტი, ხელთათმანი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი);

- სამშენებლო მოედანზე ცეცხლმაქრებისა და პირველადი დახმარების ნაკრების განთავსება;
- სამშენებლო ნარჩენების დასაწყობებისათვის სპეციალური ადგილის მოწყობა. სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირება ცალ-ცალკე ურნებში;
- საშიში და სამშენებლო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციის მიერ და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;
- საჭიროების შემთხვევაში ბეტონის საზელი მანქანიდან გამორეცხილი ნარჩენების შესანახი ადგილის მოწყობა;
- ნარჩენების გატანის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას გარემო ტრანსპორტირებისას ნარჩენებით დაბინძურებისაგან, კერძოდ უზრუნველყოს ნარჩენების შეფუთვა/დაფარვა სათანადო წესით;
- მშენებლობის პერიოდში, სამშენებლო მოედანთან მისასვლელ გზაზე სიჩქარის შემზღვეველი ნიშნების განლაგება;
- სამშენებლო მოედანზე მუდმივად უნდა იყოს უსაფრთხოებასა და ჯანმთელობაზე პასუხისმგებელი პირი.

7. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

7.1 პრეტენდენტმა 2016 წლის 21 ოქტომბრის 17:00-მდე ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240) წერილობითი სახით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები (სამართლებრივი ფორმა, დასახელება, სკ, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, მისამართი, საბანკო ანგარიში, მისამართი, ტელ. ნომერი)
- შევსებული ხარჯთაღრიცხვა დანართი #1-ის შესაბამისად;
- მშენებლობის გეგმა-გრაფიკი, დანართ #3-ის შესაბამისად;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ანალოგიური შესრულებული სამუშაოების ინფორმაცია და დოკუმენტაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში; (შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები)

8 . დამატებითი ინფორმაცია

8.1 ყველა დოკუმენტაცია და ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ;

8.2 ალტერნატიული შესყიდვის წინადადება არ განიხილება;

8.3 დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას. დამატებითი ინფორმაცია ასევე შეგიძლიათ მიიღოთ საკონტაქტო პირებისგან: ანდრო წამალაიძე - 577112022, ზაზა ნემსაძე - 599790009.